# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

23 მარტი, შაბათი, 1991 წ.
№ 53 (10 466) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სეოკ-ის ალმასკომის განცხადება

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) ალმასკომმა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ ასამბლეაზე მეთვალყურედ მიავლინა საქართველოს ეოკ-ის ალმასკომის წევრი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ვაჟა კაჭარავა. მოისმინა და განიხილა რა ვ. კაჭარავას ინფორმაცია, სეოკ-ის ალმასკომი კვლავ ადასტურებს თავის ურყევ პოზიციას: — უარს აცხადებს სსრ კავშირის ოკ-ის შემადგენლობაში შესვლაზე და აღიარებს მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესობას, მთელ თავის მუშაობას კი წარმართავს ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სეოკ-ის ალმასკომი აცხადებს, რომ ისევე, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნების ეოკ-ები, სეოკ-ი მონაწილეობას ვერ მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში, როგორც სსრ კავშირის ოკ-ის ერთ-ერთი რგოლი, მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიადაზე გამოსვლის საკითხი თითოეული სპორტსმენის პირადი საქმეა.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომი**


ქალად რკინიგზელობის დრო

წავიდა,

„ელმავალი“ წარსულის დღის [illegible]

## „ვესტა“

ამიერიდან ასე ეწოდება თბილისელ მორაგბეთა გუნდს, რომელსაც ჯერ „ლოკომოტივის“, შემდეგ კი უფრო „კეთილხმოვანი“ „ელმავლის“ სახელით ვიცნობდით.

## „ვესტა“ იმიტომ, რომ...

ალბათ მიხვდით — შნოიანმა, ალღოთი და აქტიურობით გამორჩეულმა ფირმამ — „ვესტა-თბილისი“ — კიდევ ერთი სიახლე შემოგვთავაზა: გადაწყვიტა უპატრონოს ჩვენი რაგბის ერთ-ერთ „უხნეს“ და საუკეთესო წარმომადგენელს, რომელიც 1991 წლიდან საქართველოსა და საკავშირო ჩემპიონატებში კლუბის, ქალაქისა და რესპუბლიკის ღირსებასთან ერთად, ფირმის პრესტიჟსაც დაიცავს.



პირველ ანუ საპრეზენტაციო მატჩზე თბილისის „ვესტა“ გეპატიჟებათ 26 მარტს 26 მაისის სახელობის (ყოფილი „ლოკომოტივის“) სტადიონზე. საკავშირო ჩემპიონატის გახსნის შეხვედრაზე მისი მეტოქე იქნება ლენინგრადის „ელექტრომაში“. თამაში დაიწყება 16 საათზე. მატჩზე დასასწრები ბილეთების მიხედვით გათამაშდება ლატარია — გაიცემა ფულადი პრიზები. საპრიზო ფონდი კი, გარწმუნებთ, საკმაოდ სოლიდურია!




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „კრასნი აკრაი“.

იხ. მე-2 გვ

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## რვა პლუს სამი...

**ძიდაობის** მოყვარულებს კარგად ახსოვთ ჩვენი ახალგაზრდა ძიუდოისტების შარშანდელი წარმატება საკავშირო პირველობაზე. წელსაც გვქონდა იმედი, რომ ისინი არც ამჯერად დათმობდნენ პოზიციებს. ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზიათ, მაგრამ წელს შედარებით მოკრძალებული ნადავლით დაგვიბრუნდნენ ვოლგოგრადიდან: მათ ყულაბაში „მხოლოდ“ 8 მედალი — ორი „ოქრო“, ოთხი „ვერცხლი“ და ორიც „ბრინჯაო“.

საუცხოოდ იჭიდავა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ახმეტელმა ვასილ ომარაშვილმა (86 კგ, „დინამო“, მწვრთნელები: ზეზვა შათირიშვილი და ანზორ მარტყოფლიშვილი), რომელმაც ხუთი ორთაბრძოლიდან ხუთივეში წმინდად გაიმარჯვა. ფინალში მისი მეტოქე გახლდათ მოსკოველი გ. კეკელია. მსაჯები კი ბევრს ეცადნენ, მოსკოველ სპორტსმენს რომ გაემარჯვა, მაგრამ ორთაბრძოლის დამთავრებამდე 3 წამით ადრე ვ. ომარაშვილმა ლამაზი ილეთით წმინდად დაამარცხა მეტოქე.



ნინო ქუცნიაშვილი



ირაკლი უზნაძე



ვასილ ომარაშვილი

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ირაკლი უზნაძე (78, „დინამო“, მწვრთნელები: ბიძინა მოხევიშვილი და ანზორ მარტყოფლიშვილი) შარშანდელ საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობის“ გამარჯვებულია. ახლაც ვოლგოგრადში დამაჯერებლად იჭიდავა. ფინალში მას მოსკოველი ა. კაძიევი შეხვდა. ირაკლის უპირატესობა აშკარა იყო და პირველ ადგილზეც გავიდა. ვერცხლის მედალი წილად ხვდათ მამუკა აბრამიშვილს (65 კგ, „შევარდენი“) თამაზ ცოფურაშვილს (45 კგ, „მართვე“), ჯონდო დაბრუნდაშვილს (მძიმე წონა, „მართვე“), მანვე კიდევ ერთი მეორე ადგილი დაიკავა — აბსოლუტურ წონაში. მესამე პრიზიორები გახდნენ გივი შარიაშვილი (78 კგ, „შევარდენი“) და შალვა ბექაური (მძიმე წონა, ასკ).

ჩემპიონატში გოგოებიც ასპარეზობდნენ. ჩვენი გუნდის ნაკრებმა სამი მედალი მოიპოვეს აბსოლუტურ წონაში ჩემპიონი გახდა ნინო ქუცნიაშვილი (ასკ, მწვრთნელი მურად მწარიაშვილი), მანვე მძიმე წონაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. აბსოლუტურ წონაში მესამე იყო ნინო მარჯანიშვილი (ასკ). აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გოგოებმა შარშან ასეთსავე შეჯიბრებაში მხოლოდ ერთი მედალი დაიმსახურეს.



„იბერია“ — „გურია“. (იხ. მე-3 გვ.).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## სპორტის მოყვარულებს!

**დღეს**, 19 საათსა და 15 წუთზე საქართველოს ტელევიზიის სპორტული პროგრამების მთავარი რედაქცია გთავაზობთ „45 წუთის“ მორიგ გადაცემას. ცისფერ ეკრანზე თქვენ იხილავთ ამერიკის პროფესიული კალათბურთის ვარსკვლავებს, ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების ფრაგმენტებს, მსოფლიო და ქართული ფეხბურთის ცნობილ ოსტატებს...

## დია ჩემპიონატის ლაშქრატში

**პროფკავშირთა** საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ კარგა ხანია გამოეყო საკავშირო სტრუქტურას და დამოუკიდებელი გახდა. ამასთან, მოწინავე სპორტსმენთა ოსტატობის დონის შესანარჩუნებლად „შევარდენის“ რესპუბლიკურმა საბჭომ გადაწყვიტა — საზოგადოების წარმომადგენლები იმ შემთხვევაში მიიღებენ მონაწილეობას, თუ პროფკავშირთა საკავშირო შეჯიბრებებს მიეცემოდა ღია პირველობის სტატუსი. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ცენტრმა დათმო. ამიერიდან პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებათა ყველა პირველობა და ჩემპიონატი, ღია შეჯიბრებადაა გამოცხადებული.

სწორედ ასეთი ღია ასპარეზობა — პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს ჩემპიონატი გაიმართა ფარიკაობაში ამ დღეებში სმოლენსკში.

საქართველოს წარგზავნილთაგან განსაკუთრებით თავი ისახელეს ხმლით მოფარიკავეებმა. გუნდური პირველობის ნახევარფინალში ჩვენებმა სძლიეს ლენინგრადელებს, ფინალში კი გამანადგურებელი ანგარიშით 5:1 დაამარცხეს რსფსრ-ის ნაკრები. აი, „ოქროს ოთხეულიც“: აკაკი მახარაძე, ირაკლი გვარამაძე, არჩილ ლორთქიფანიძე და ვაჟა ვაშაძე.

## საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

### ● ქალები

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „კრასნი აქსაი“ (როსტოვი) 83:80 (44:43).**

**თბილისი. გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზი. 21 მარტი.**

**ტექნიკური უნივერსიტეტი: ლორია (11), ყიფშიძე (3), ხირაძე (17), მხეიძე (22), ბუილლიშვილი (9), ოშიაძე, კურტანიძე (1), მ. მაისურაძე (14), ლ. მაისურაძე (7).**

**„კრასნი აქსაი“: დოვჟენკო (4), ჟექსემბაევა (8), დოროხოვა (11), ოვჩარენკო (28), კულიკოვა (2), ბელაი (25), ბელიაევა (2).**

**მსაჯები: გ. სოკოლოვი (ლენინგრადი) და ვ. ლიმაევი (ბაქო).**

კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატში როსტოველები ყველასთვის უხერხულ მეტოქედ ითვლებიან და არცთუ უსაფუძვლოდ; ყველა გუნდს უჭირს მათთან თამაში, რადგან ტექნიკით ნამდვილად ვერა, მაგრამ კარგი ფიზიკური მომზადებით კი გამოირჩევიან.

ქართველი კალათბურთელები „ბ“ ჯგუფის ლიდერთა შორის იმყოფებიან და ბუნებრივია, მათთვის ძვირფასია ყოველი ქულა და გამარჯვება.

თამაში მართლაც საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველივე წამებიდან ნათელი გახდა, რომ სტუმრები იოლად არ დათმობდნენ შეხვედრას. მთელი პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია საგრძნობ უპირატესობას, ტაიმი ქართველმა კალათბურთელებმა ერთი ქულით მოიგეს 44:43.

შესვენების შემდეგაც არ დამცხრალა ბრძოლა მოედანზე, ორივე გუნდი საკმაოდ აქტიურობდა, რამაც, ვფიქრობთ, კმაყოფილი დატოვა მაყურებელი. შეხვედრის ბოლოს უფრო ზუსტად ჩვენმა გოგონებმა ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც — 83:80, რითაც კიდევ უფრო გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

## მიუხედავად უთანაბრო პირობებისა

### ბატუტისტები კვლავ ხიზნად არიან

ეს წარმატება მართლაც მნიშვნელოვანია: ხერსონში გამართულ ბატუტზე მხტომელთა საკავშირო პირველობაზე, რომელშიც რესპუბლიკებისა და ქალაქების სპეციალიზებული სკოლების 26 გუნდი მონაწილეობდა, საქართველოს ნაკრები ტანვარჯიშის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი — მზია ჯულელი) აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. დიახ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა საქართველოში ბატუტზე ხტომის სპეციალიზებული სკოლის გახსნა, რაც უდავოა, უფრო ამრავლებდა ჩვენი ბატუტისტების წარმატებებს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე.

მაგრამ, მიუხედავად უთანაბრო პირობებისა, ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ რიგის და ვიტებსკის სკოლის გუნდებთან დათმეს ორთაბრძოლა და მესამე საპატიო ადგილი დაიკავეს. 1978-1979 წლებში დაბადებულთა შორის საუცხოოდ იასპარეზა თბილისის მეხუთე საშუალო სკოლის მოსწავლემ ხათუნა ბენდიანიშვილმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ინდივიდუალურ ხტომებში. ამავე სახეობაში ვაჟთა შორის ვერცხლის მედალი მოიპოვა თემურ მუმლაძემ. ხათუნა და თემური ამით არ დაკმაყოფილდნენ და შერეულ წყვილთა სინქრონულ ხტომებშიც გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრები ამ ტურნირზე მეორე გუნდითაც იყო წარმოდგენილი — მხატვრული ტანვარჯიშის სკოლის (დირექტორი სოსო ბაქანიძე) მოსწავლეებით. ბატუტზე ხტომის ჯგუფები ამ სკოლაში სულ ახლახან გაიხსნა და, ცხადია, ახალბედებმა პირველ პირველობებში რაიმე სერიოზულ წარმატებებს ვერ მიაღწიეს, საერთო გუნდურ ჩათვლაში კი მეთექვსმეტენი აღმოჩნდნენ.

### ოცდამეთხუთმეტელები...

# ზაურ კალოევი არა მხოლოდ ფეხბურთის მოსახე

**ფეხბურთელები,** რომლებიც მუდამ ახსოვთ გულშემატკივრებს, ცხადია, განსაკუთრებული ხელწერით გამოირჩევიან. შეუძლებულია, ქართველ ფეხბურთის მოყვარულთ ფინტის ხსენებაზე მიშა მესხი არ დაუდგეთ თვალწინ. როცა მოთამაშის სისწრაფესა და დრიბლინგზეა საუბარი, სლავა მეტრეველის შეუდარებელი ნიჭი გვაგონდება. პენალტებზე რომ მიდგებს საქმე, მიხეილ ბერძენიშვილის ოსტატობაზე გვსმენია ბევრი რამ. კახი ასათიანსა და დავით ყიფიანს მინდვრის ხედვისა და გრძელი გადაცემების ოსტატად მიიჩნევდა ყველა. მრავალი ქართველი ოსტატის გახსენება შეიძლება, ვისაც ისეთი უნარი ჰქონდა ამა თუ იმ ილეთის სრულყოფილად შესრულებისა, რომ საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. ბევრი ფეხბურთელის თამაში კი, მოგეხსენებათ, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა და ჰგავს ერთმანეთს. ამიტომაც საფეხბურთო სამყაროში ხშირია კამათი, რომელი მოთამაშე იყო სწრაფი, ვინ უფრო ძლიერად და ზუსტად ურტყამდა, რომელი მეკარე უფრო დამაჯერებლად თამაშობდა გამოსვლებზე და რომელი იყო საუკეთესო ხაზზე თამაშში, ვინ ირჩევდა სწორ პოზიციას და მრავალი სხვა. მაგრამ ერთ საფეხბურთო კომპონენტში, რომელსაც თავით თამაში ჰქვია, ძნელად რომ ზაურ კალოევს შეედაროს ვინმე. 60-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ეს უნიჭიერესი და უბადლო ოსტატი აღაფრთოვანებდა ათასობით გულშემატკივარს.

**ზაურ კალოევთან ჩვენი სტუმრობის დროს ერთმა ფოტომ მიიქცია ჩვენი ყურადღება. მას გამორჩეული ადგილი უჭირავს სპორტსმენის ფოტოალბომში. საუბარიც სწორედ ამ ფოტოს „გაშიფვრით“ დავიწყეთ.**

— ეს სურათი ჩემი ლამაზი მოგონებაა და აი, რატომ. 1962 წელს თბილისის „დინამო“ მოსკოვში, ლუჟნიკზე ტრადიციულ მეტოქეს მოსკოვის „სპარტაკს“ ხვდებოდა. თუ რა დაძაბულად მიმდინარეობდა ჩვენი შეხვედრები, ეს ამ ფოტოდანაც კარგად ჩანს. შეხვედრის წინ რამდენიმე საათით ადრე სტადიონზე, რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა. საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლა ამ დღეს ჩვენი გამარჯვებით 2:0 დამთავრდა. ორივე ბურთი თავით მე გავიტანე. ამ ფოტოზე ჩემს მიერ თავით გატანილი მეორე გოლია აღბეჭდილი. სიომა ბარქაიას გადაცემის შემდეგ ჰაერში მებრძვის მოსკოველთა ცენტრალური მცველი მასლიონკინი, რომელმაც ოდნავ დააგვიანა ახტომა. სპარტაკელთა კარს იგორ ფროლოვი იცავდა, ამ ეპიზოდში მან ვერ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, გამოქანდა და ისევ დაბრუნდა კარში. სწორედ ამ მომენტში მომეცა საშუალება გადამეგდო მისთვის თავს ზემოთ ბურთი. ფროლოვი ბათუმელი იყო და ქართული საკმაოდ კარგად იცოდა. როცა ბურთის გამოსატანად კარებში ბრუნდებოდა, ქართულად მივაძახე — ბიჭო, არ გასწავლეს, რომ, როცა მაღალ ბურთზე გამოდიხარ, აღარ უნდა გადაიფიქრო და ბოლომდე უნდა იბრძოლო მეთქი. იგორმა ბადიდან გამოტანილი ბურთი გაბრაზებულმა მოისროლა და მომაძახა ეშმაკი უნდა იყო, რომ თქვენ რაიმე გაგიგოთო.

● **ბატონო ზაურ, თქვენ იმ თაობას ეკუთვნით, რომლის დროსაც დაარსდა რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძველესი, სახელოვანი ოცდამეთხუთმეტე საფეხბურთო სკოლა, სადაც არაერთ ტყავის ბურთის ოსტატს „აუდგამს ფეხი“. დღესდღეობით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში არაერთი სპეციალიზებული სკოლაა, მაგრამ ისე გაივლის რამდენიმე წელი, ერთ სრულფასოვან მოთამაშესაც არ აძლევენ რესპუბლიკის წამყვან კლუბებს.**

— როცა ოცდამეთხუთმეტეში ვარჯიში დავიწყე, 1947 წელი იდგა, სკოლა ორი წლის გახსნილი იყო და ამ ორ წელიწადში საკმაოდ გაეთქვა სახელი როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. სკოლა თვეებს ითვლიდა, მაგრამ საქართველოს მოწინავე გუნდების მწვრთნელები არ სცილდებოდნენ მის მინდორს. ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ, — არჩევანი მათ ნამდვილად დიდი ჰქონდათ. გამოცდილი მწვრთნელების: მერკვილაძის, პურაძის, შავდიას, ჟორდანიას, ჯეჯელავას, გვარჯილაძისა და სხვათა მცდელობით ყველა საწვრთნელი მეცადინეობა ჩვენთვის ნამდვილი ზეიმი იყო. არც ვარჯიშის შემდეგ ვანებებდი თამაშს თავს. ქუჩაში დაღამებამდე დავდევდი ბურთს. ყოველივე ამის შემდეგ შეუძლებელიც იყო, ბევრ ჩვენგანს ნორმალური ფეხბურთი არ ეთამაშა. გუშინდელ დღესავით მახსოვს, 1949 წელს ჩვენი სკოლის გამოსაშვებმა გუნდმა როგორ დავამარცხეთ საქართველოს პირველი გუნდის თბლისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა— 4:3. ამ მატჩში ორი ბურთი მე გავიტანე. შეხვედრამ ბევრწილად გადაწყვიტა კიდეც ჩემი შემდგომი ბედი. თითოეულ ჩვენგანს, ვინც ამ შეხვედრაში მონაწილეობდა ქალაქში გმირებად გვთვლიდნენ.



აი, ის ფოტო, სადაც აღბეჭდილია კალოევის (მარჯვნივ) და მასლიონკინის „საჰაერო“ დუელი, რომელიც მოსკოველთა კარში გატანილი ბურთით დასრულდა.

დღეს კი საქმე სხვაგვარადაა. მთელი თბილისი რომ შემოვიაროთ, იშვიათად თუ სადმე ქუჩაში მოზარდების თამაშს წავაწყდეთ, არადა, ბაზები და მარტივი ტიპის მოედნები დღეს გაცილებით მეტია. დიდი ფეხბურთი, მოგეხსენებათ, ქუჩიდან, ეზოდან იწყება, ამიტომაც რა თავგადაკლულიც არ უნდა იყოს მწვრთნელი, ვეჭვობ, მარტო იმ ვარჯიშებით, რომლებიც სპორტსკოლებში ტრადიციულად იქცა, რაიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს. ჩემი აზრით, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საგრძნობლად იკლო ნიჭიერ თაობათა დენამ ჩვენს საუკეთესო გუნდებში.

● **1950 წელს თქვენ თბილისის „სპარტაკში“ ჩაგრიცხეს. ეს ის პერიოდია, როცა უმაღლეს ლიგაში თბილისს ორი გუნდი — „დინამო“ და „სპარტაკი“ ჰყავდა. იმჟამად ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას გარკვეული შანსი ეძლეოდა გაეგრძელებინა თავისი სპორტული კარიერა.**

— როცა ქალაქს უმაღლეს ლიგაში ორი გუნდი ჰყავს, ეს ცოტას როდი ნიშნავს. იმ პერიოდში, როცა მე „სპარტაკში“ მიმიწვიეს, გუნდში მთავარ მწვრთნელად ბატონი ანდრო ჟორდანია მუშაობდა. კაცი, რომელიც იშვიათად ცდებოდა ტალანტის აღმოჩენაში. მის სასელექციო ნიჭსა და უნარზე ხომ დღესაც ლეგენდები დადის. ეს კი იმის ერთ-ერთი საფუძველი იყო, რომ იმ დროს თბილისის ფეხბურთს ნამდვილად არ უჭირდა. ორივე გუნდში — „დინამოშიც“ და „სპარტაკშიც“ თბილისელი ჭაბუკები საკმაოდ გამოდიოდნენ, მყარად „იდგნენ“ ძირითად შემადგენლობაში, რესპუბლიკის საუკეთესო კლუბებში თბილისელთა არყოფნას ხშირად ჩაუყენებია ისინი გამოუვალ სიტუაციაში. თბილისი იყო და უნდა დარჩეს კიდეც ქართული ფეხბურთის ადგილის დედად.

● **თქვენ ზედიზედ ორჯერ — 1959 და 1960 წლებში მოგენიჭათ პრიზი საუკეთესო ბომბარდირისთვის. როგორ ფიქრობთ, დღეს რომ თამაშობდეთ ფეხბურთს, კვლავ გაიმეორებდით ამ მართლაცდა დიდებულ შედეგს?**

— ვხვდები, რასაც გულისხმობთ. ბევრს ჰგონია, რომ ბურთის გატანა ადრე უფრო იოლი იყო. მაგრამ, მერწმუნეთ, კარის დალაშქვრა იოლი არასდროს არ ყოფილა და არც იქნება. იმ პერიოდში, როდესაც მე მომიწია თამაშმა. თავდასხმაში ბევრი ვარსკვლავი გამოდიოდა, მაგრამ ძლიერი ნახევარმცველებისა და მცველების ნაკლებობას მაშინ არ ვუჩიოდით. ამიტომაც ყველა ბურთი, რომელიც გამიტანია, დიდი შრომისა და ოფლის ღვრის შედეგია.

● **ჩემპიონატებსა და თასის თამაშებში ასოცდათერთმეტი გოლი გაიტანეთ. ალბათ დამეთანხმებით, რომ კარგი პარტნიორები რომ არა, ეს ციფრი ბევრად ნაკლები იქნებოდა.**

— ფეხბურთი კოლექტიური თამაშია და მინდორზე ყველა მოთამაშემ თავისი საქმე უნდა აკეთოს. მე თავდასხმის ცენტრში ვთამაშობდი, ამიტომ ჩემი უპირველესი ამოცანა გოლის გატანა იყო, რაც შეეხება პარტნიორებს, ამ მხრივ, მართლაც გამიმართლა. ჩემს დროს საქართველოს ფეხბურთის ჩინებული ელიტა გამოდიოდა. განსაკუთრებით კარგად ვიყავი შეთამაშებული მიშა მესხთან. როცა მიშა ბურთს მიიღებდა, ვაკვირდებოდი ყველა მის უმნიშვნელო მოძრაობასაც კი და, იმის მიხედვით, თუ რა პოზიციიდან და რა მდგომარეობაში აპირებდა ბურთის ჩამოწოდებას, ვარჩევდი ადგილს საჯარიმოში. ხშირად მე და მიშას ეს ჩინებულად გამოგვდიოდა. ბევრი პარტნიორის ჩამოთვლა შემიძლია, რომლებისაც უსიტყვოდ მესმოდა. და თუ გოლებიც საკმაოდ გამიტანია, ალბათ პირველ რიგში ჩემს კოლეგებს უნდა ვუმადლოდე.

● **თავით კარგად თამაში მარტო ჩვენი კი არა, ნებისმიერი ქვეყნის გუნდების აქილევსის ქუსლია. რაიმე განსაკუთრებული ნიჭი ხომ არ არ არის საჭირო ამ „საქმეში“ გასაწაფავად?**

— როგორც ყველა საფეხბურთო ილეთს, თავით თამაშსაც სრულყოფამდე სჭირდება დახვეწა. თავით თამაშს დღეს ბევრი გაურბის, არადა, რომ იცოდეთ, რაოდენ საჭიროა ყველასათვის ამ ელემენტის დაუფლება. მეკარისთვის ახლო მანძილიდან თავით დარტყმული ბურთის მოგერიება ხომ თითქმის შეუძლებელია. ბევრი გოლი ვერ შეედრება სილამაზით სულ ახლახან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ქეცბაიას მიერ თავით შესრულებულ დარტყმას, რომლითაც მრავალსვლიანი კომბინაცია ჩინებულად დააგვირგვინა თემურმა. სხვაც რომ არაფერი მომხდარიყო ამ შეხვედრაში, მერწმუნეთ, გასახსენებლად ეს გოლიც ეყოფოდა თამაშზე მისულ მაყურებელს. და კიდევ ერთი რჩევა მათ, ვინც თავით თამაშში დაოსტატებას აპირებს: არ შეიძლება დარტყმის მომენტში ფეხბურთელს თვალები დახუჭული ჰქონდეს. ამგვარად შესრულებული დარტყმა ხშირ შემთხვევაში არაზუსტია.

● **თქვენ 1957-58 წლებში მოსკოვის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავდით. მაშინ ამ კლუბმა მეორედ მოიპოვა საკავშირო თასი. რამ განაპირობა თქვენი მოსკოვში გადასვლა? როგორც ამბობენ, სუსტ ფორმაში მაშინ ნამდვილად არ იყავით.**

— იმ პერიოდში ცუდად არ ვთამაშობდი, მაგრამ ხელმძღვანელობასთან უთანხმოებამ მაიძულა დამეტოვებინა ჩემი საყვარელი კლუბი თბილისის „დინამო“ და მოსკოვში გადავბარგებულიყავი. იქ ორი სეზონი დავყავი, გუნდიც ჩინებული დამხვდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი აქ გაჩერება, რა კარგი პირობებიც არ უნდა შეექმნათ, არ შეიძლებოდა. ჩემი ქალაქის და ჩემი ბიჭების გახსენება მოსვენებას არ მაძლევდა და, როდესაც კვლავ მიმიწვიეს „დინამოში“, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უკან აღარც მიმიხედია, ისე დავბრუნდი თბილისში. მხოლოდ ერთი აზრი მამოძრავებდა, გამემართლებინა მწვრთნელებისა და თანაგუნდელების ნდობა. მონდომებამ თავისი გაიტანა და შევძელი ის, რაზედაც ვოცნებობდი — 1959-60 წლების საფეხბურთო სეზონში შესაბამისად 16 და 20 გოლი გავიტანე, რამაც საშუალება მომცა ზედიზედ ორჯერ საუკეთესო ბომბარდირი გავმხდარიყავი.

● **დღეს ყველა ჩვენგანისთვის მტკივნეულ სამაჩაბლოს საკითხს მინდა შევეხოთ. ვერ ვიხსენებ რესპუბლიკის პირველ გუნდში თაობას, სადაც ოს ფეხბურთელებს არ ეთამაშოთ, როგორც გადმოცემითაც ვიცი, არასდროს კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის გუნდში არ ყოფილა. გამუდმებულ შეკრებებზე და თამაშებზე სიარული აახლოებს და ამეგობრებს სპორტსმენებს. ნუთუ ჩანდა ადრეც რაიმე ისეთი, რაც ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის მიზეზად იქცეოდა?**

— მე უკვე 60 წლისა გავხდი და ადრე ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის სამაჩაბლოში ასეთი რამე დატრიალდებაო, წარმოუდგენლად მივიჩნევდი. აღარაც კი ვიცი რა დავარქვა ასეთ დაპირისპირებას. რა ხდება, ნუთუ ასე დაუბრმავა თვალები მესამე ძალამ ჩვენს ხალხს, რომ შინაურსა და გარეულს ვეღარ არჩევენ. ძალიან მიმძიმს ლაპარაკი ამ თემაზე, რადგან ჩვენ უამრავი საერთო სიყვარული გვაკავშირებს ერთმანეთთან, რამდენი ჭირი და ლხინი გამიზიარებია ჩემს ქართველ ძმებთან ერთად, სიყვარული და ოჯახი მაკავშირებს ქართველ ქალბატონთან. მჯერა, როგორც ყოველთვის, სიყვარული კვლავაც აღადგენს მტრის ხელით დანგრეულს. საქართველოში მცხოვრებმა ოსმა ინტელიგენციამ ამ საქმეში უთუოდ უნდა თქვას თავისი სიტყვა.

**ზაზა კახაძე**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„იბერია“ (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:0.**

თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 21 მარტი.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, ინალიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაპარავა, ჯამარაული (ყაველაშვილი), ნემსაძე.

„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ბარათაშვილი, მიქაბერიძე, კორძაღიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), თ. ლაცაბიძე (თბილისი), ო. გაგუა (სოხუმი).

გააფრთხილეს: კ. კაპარავა, გ. ტყებუჩავა.

ამ შეხვედრას მოუთმენლად ელოდნენ ფეხბურთის მოყვარულები — ამ მატჩს ხომ ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. პირველ ყოვლისა, უმთავრეს მათგანზე — როგორია ჩვენი ფეხბურთის დღევანდელი დონე, მოგეხსენებათ, ეს ორივე კლუბი საუკეთესოა რესპუბლიკაში. ამიტომაც იყო, რომ ფეხბურთის თაყვანისმცემლები მათგან ლამაზ და გააზრებულ თამაშს ელოდნენ. სეზონის დასაწყისში, როცა კლუბები ჯერ „ვერ არიან“ საუკეთესო ფორმაში, ძნელია მოსთხოვო მათ ყველაფერი, რაც ხელეწიფებათ და, თუ „იბერიისა“ და „გურიის“ მოთამაშეებს ბოლომდე არ გამოსდიოდათ ის, რისი უნარიც შესწევთ, ნუ დავძრახავთ. ისე კი, ვინც ეს შეხვედრა იხილა, დაგვერწმუნება, რომ მოთამაშეებს ცდა არ დაუკლიათ გამარჯვების მისაღწევად.

ამ წლის დამდეგს რედაქციაში ხშირად მოგვმართავდნენ გულშემატკივრები ასეთი თხოვნით: საქართველოს უძლიერესი გუნდის გამოსავლენად დანიშნულიყო სუპერთასის მატჩი, რომელშიც ერთმანეთს რესპუბლიკის ჩემპიონი და თასის მფლობელი შეხვდებოდნენ. მეორე ტურის ეს შეხვედრაც ერთგვარად სწორედ ამ სურვილს აკმაყოფილებდა.

ორივე გუნდის ფეხბურთელები ზედმიწევნით კარგად იცნობენ ერთმანეთს, მრავალი მათგანი სხვადასხვა დროს ერთ გუნდშიც გამოდიოდა. ამანაც განაპირობა მატჩის სიმძაფრე.

პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ ბრძოლა უშეღავათო იქნებოდა. გუნდებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს თამაში. მაგრამ პირველ ნახევარში საგრძნობ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა როგორც თბილისელთა, ისე ლანჩხუთელთა კართან.

მეორე ნახევარში თბილისელთა უპირატესობა გამოიკვეთა. უკვე პირველსავე წუთზე კარის აღების ხელსაყრელი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა შელიამ. ლანჩხუთელები კონტრშეტევებით ლამობდნენ მიზნის მიღწევას. მიუხედავად დაძაბული, დინამიური ბრძოლისა, ანგარიში ამ მატჩში არ გახსნილა. არადა, ძნელიც კია, გაიხსენო ყველა ის გამოუყენებელი მომენტი, რომელიც მეტოქეთა კართან შეიქმნა.

**ზაზა მაჭარაშვილი**

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:2 (1:1)**

გალი. ცენტრალური სტადიონი. 21 მარტი.

„ამირანი“: მიქაია, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, შამუგია, შიროკი, ღურწკაია, გომონოვი, ურთმელიძე, კვეკვესკირი, გეთია (ქობალია).

„კოლხეთი-1913“: გვასალია, თიბილაშვილი, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, გენძეხაძე (ტორჩინავა), ბაჯალაძე (კაკაჩია), თვარაძე, ქობალია.

მსაჯები: მ. ჰელიძე, ხ. შალამბერიძე, ნ. კილაძე (სამივე — თბილისი)

გააფრთხილეს: მ. ქობალია.

ოჩამჩირის სტადიონზე სარემონტო სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრო, ამიტომაც ეს მატჩი გალში გაიმართა.

შეხვედრის დასაწყისშივე ფოთელთა კარში ბურთი ზ. ღურწკაიამ გაიტანა, ამის შემდეგაც ოჩამჩირელებს ბურთის გატანის არაერთი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ხელსაყრელი შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ, „კოლხეთმა“ არ გაუშვა ხელიდან გოლის გატანის შანსი — 45-ე წუთზე თოფურიას მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს და „ამირანის“ კარში აღმოჩნდა 1:1.

ფოთელები მეორე ნახევარში უფრო გააქტიურდნენ. 78-ე წუთზე მსაჯმა მ. ჰელიძემ ოჩამჩირელთა კარში დანიშნა პენალტი, რომელიც კარგად გამოიყენა თვარაძემ — 2:1. ეს ბურთი უკანასკნელი აღმოჩნდა ამ მატჩში.

**დაზმირ ბელენავა,**
„ლელოს“ კორ.

**„სანავარდო“ (სამტრედია) — „დილა“ (გორი) 1:3, (1:2).**

სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 20 მარტი.

„სანავარდო“: თოდაძე, (გამყრელიძე), კოხრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დავით თვალაბეიშვილი, ლეკვეიშვილი, რუხაძე, ნოზაძე (ტონია), ვ. ბრეგვაძე, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ბ. ბრეგვაძე.

„დილა“: ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, წიკლაური, ანიაშვილი, შავდათუაშვილი, (თარხნიშვილი), მარეხაშვილი, პაპიძე, მარლიშვილი (მიქელაძე), ხორგუაშვილი, ნეფარიძე.

მსაჯები: ვ. შელია, რ. ჩიქოვანი, ხ. პრავოვი (გაგრა).

გოლები: დურ. თვალაბეიშვილი, ნეფარიძე, მარეხაშვილი, მარლიშვილი.

**„სულორი“ (ვანი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:1 (0:0).**

ვანი. ცენტრალური სტადიონი. 20 მარტი.

„სულორი“: ერემეიშვილი, კანკაძე, გ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი, ძაგნიძე, ორმოცაძე, პაიკიძე, ბუიშვილი (გ. ბრეგვაძე), არველაძე, ჯ. ვერულაშვილი (ნ. დუღლიშვილი), გ. ბრეგვაძე.

„ქუთაისი“: მ. [illegible], [illegible]შვილი (მაღლაკელიძე), წივწივაძე, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, ა. დვალიშვილი, (ჯანხოთელი), შენგელია (ხუნდაძე), ჯანაშია, დარახველია, ფაიქიძე.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა, (გულრიფში).

გოლები: ხუნდაძე, პაიკიძე (თერთმეტმეტრიანით).

ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი მინდორი დაატოვებინეს დ. ჯანაშიას.

## გათამაშების ცხრილი • უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 23 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| „იბერია“ (თბილისი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| „დილა“ (გორი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| „სანავარდო“ (სამტრედია) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| „სულორი“ (ვანი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| „მზიური“ (გალი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0:[illegible] | 1 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| „ვერიძ“ (ხაშური) | 2 | 0 | 0 | 2 | 0:[illegible] | 0 |

## I ჯგუფი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 5:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:0, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:1, „მრეტები“ (თბილისი) — „სიხარული-90“ (გაგრა) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# პიტერ შილტონი

1990 წლის 18 დეკემბერს შილტონი, რომელსაც ზოგი „ქინგ პიტერს“ ეძახის, ზოგი კი „პიტერ გრეათს“ (პეტრე დიდს), ოფიციალურად გამოეთხოვა ინგლისის ნაკრებს. ორიოდე თვეც და იგი თავის საკლუბო გუნდსაც დაემშვიდობება, რის შემდეგ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მეკარეების მწვრთნელი გახდება. ერთი სიტყვით, მთავრდება კიდევ ერთი დიდი ფეხბურთელის სპორტული კარიერა.

კარიერა კი მთავრდება, მაგრამ რჩება შილტონის მსოფლიო რეკორდი — მან ხომ ნაკრებში 125 მატჩი ითამაშა და ამჟამად „ასიანთა კლუბის“ ლიდერია, თანაც ისეთი სხვაობით, რომ, ეტყობა, მას ძალიან დიდხანს ვერავინ გაუსწრებს. „ასიანთა კლუბის“ ყველა წევრი, შვეიცარიელ ჰერმანის გამოკლებით (107 მატჩი), უკვე გამოეთხოვა ფეხბურთს, ჰერმანი კი შილტონის დამწევი ნამდვილად არ არის. ერთი სიტყვით, უნდა ველოდოთ რომელიმე იმ მოქმედი ფეხბურთელის „გაროჩევას“, რომელსაც ჯერ ნაკრებში ასი მატჩი არ უთამაშია. ვინ იქნება ის, ან როდის იქნება ეს?! დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს წლებში თუ საუკუნის ბოლომდეც არა, შილტონის რეკორდს ვერავინ მოხსნის.

გამოჩენილი ინგლისელი მეკარე რეი კლემენსი დიდხანს ინგლისის ნაკრებში შილტონთან ერთად მონაცვლეობით თამაშობდა, აი, რა განაცხადა მან:

— ამ შესანიშნავ მეკარეს ნაკრებში მე რომ არ „ჩავჩხეროდი“, ის 61 მატჩიც მას უნდა ეთამაშა, მე რომ ჩავატარე. პირდაპირ ფანტასტიკური რეკორდი დამყარდებოდა, რომლის გაუმჯობესება უბრალო, „მოკვდავი“ მეკარისთვის კი არა, ნებისმიერი დიდი ფეხბურთელისთვის შეუძლებელი იქნებოდა. როცა წლების განმავლობაში მის განსაკუთრებულ შეუპოვრობას, ვარჯიშის ვუყურებდი, ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს მუდმივად შეეძლო ნაკრებში გამოსვლა.

პიტერ ლესლი შილტონი, მართლაც განსაკუთრებული მოვლენა ფეხბურთის ისტორიაში, დაიბადა 1949 წლის 18 სექტემბერს, ლესტერში. 183 სმ სიმაღლისაა, იწონის 90 კგ-ს. ჰყავს ცოლი სიუ, ორი ვაჟი — მაიკლი და სემი. კარიერა 1966 წელს მშობლიურ „ლესტერ სიტიში“ დაიწყო. „ევერტონთან“ თამაშის წინ სახელგანთქმული მეკარე გორდონ ბენქსი დაშავდა, იგი შილტონმა შეცვალა, რომელიც მაშინ 17 წლისაც არ იყო და გუნდმაც გაიმარჯვა — 3:0. „ლესტერში“ შილტონი 8 წლის განმავლობაში თამაშობდა და 286 მატჩი ჩაატარა. ასეთი კურიოზული ამბავიც შეემთხვა: „საუთჰემპტონთან“ თამაშისას კარიდან ძლიერად დაარტყა, ქარმაც ხელი შეუწყო, მეტოქეთა მეკარე ფორსაიტმაც სიფხიზლე ვერ გამოიჩინა და... გაუშვა ბურთი. შემდეგ ფორსაიტს, ცხადია, დიდხანს დასცინოდნენ.

1974 წელს უკვე საქვეყნოდ ცნობილი მეკარე „სტოკ სიტიში“ გადავიდა, სადაც 110 მატჩში ითამაშა. 1977 წელს კიდევ ერთხელ გამოიცვალა კლუბი — „ნოტინგემ ფორესტის“ წევრი გახდა (202 მატჩი). ამას „საუთჰემპტონი“ (1982-87, 188 მატჩი) და დღევანდელი „დერბი ქაუნთი“ მოჰყვა. ადრე ინგლისის ლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით რეკორდსმენად ტერი პაინი (824 მატჩი) ითვლებოდა. შილტონმა მას კარგა ხანია გაუსწრო — მის ანგარიშზე 900-ზე მეტი მატჩია. დიდხანს ვერც ამ მხრივ დაეწევა ვინმე. 1978 წელს იგი ინგლისის ჩემპიონი იყო, 1979 წელს — თასის მფლობელი, 1979 და 1980 წლებში კი თასების მფლობელთა თასის მფლობელი.

1970 წელს შილტონმა პირველად ითამაშა ინგლისის ნაკრებში (3:1 „უემბლიზე“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან). ვინ იფიქრებდა, რომ ამ გუნდში მთელი 20 სეზონის განმავლობაში დარჩებოდა!

ზოგჯერ თვლიან, რომ მეკარეები, ცოტა არ იყოს, უცნაურები არიან. შილტონზე ეს არ ითქმის. იგი ძალზე წყნარი და გაწონასწორებული პიროვნებაა, არასდროს გამოდის მოთმინებიდან. ერთმა ექსპერტმა მასზე თქვა: „შილტონი, რომ არ გაახალგაზრდავდება, ეს ცხადია, მაგრამ სულ უფრო კეთილი რომ ხდება, ესეც უეჭველია“.

აი, ზოგიერთი მოსაზრება ამ გამოჩენილი სპორტსმენის შესახებ: ბრაიან რობსონი (ნაკრების ყოფილი კაპიტანი) — ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ასეთი მეკარე გვყავდა. შილტონი ბედნიერების ვარსკვლავივითაა — სადაც წავა, წარმატებაც თან წაჰყვება. მისი პროფესიონალიზმი მცველებს დიდად აიმედებს და ისინი თავდაჯერებულნი იწყებენ თამაშს.

ბობი რობსონი (ნაკრების ყოფილი მწვრთნელი) — არ მესმის, რატომ უნდა დასტოვოს შილტონმა ფეხბურთი. სხვას ვისა აქვს ასეთი რეაქცია და პოზიციის ასეთი გრძნობა. ჩემის აზრით, იგი დაეუფლა მეკარის ხელოვნების მწვერვალებს.

კრის ვუდსი (მეკარე, რომელმაც ნაკრებში შილტონი შეცვალა) — თქმა არ უნდა, შილტონი ყველაზე დიდი მეკარეა ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში. მე წილად მხვდა ბედნიერება, მისგან ბევრი რამ მესწავლა, როგორც მეკარეს და, თუ გნებავთ, როგორც ადამიანს.

მრავალრიცხოვან ინტერვიუებში შილტონს ხშირად ეკითხებიან:



თავზარი დამეცა, გოლი რომ ჩათვალეს...

● **რას იტყვით გოლზე, რომელიც თქვენს კარში მარადონამ ხელით გაიტანა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში?**

— თავზარი დამეცა, გოლი რომ ჩათვალეს. მარადონასთვის არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეთქვა.

● **ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო მეკარეებად?**

— იაშინი, ძოფი და ჯენინგსი, თუმცა ჩემი იდეალი ყოველთვის ბენქსი იყო.

● **ინგლისის რომელ ნაკრებს თვლით საუკეთესოდ?**

— იმას, რომელიც 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა: ბენქსი, უილსონი, ჯ. ჩარლტონი, მური, კოენი, ბოლი, სტაილსი, ბ. ჩარლტონი, პიტერსი, ჰანტი, ჰერსტი.

● **ინგლისის რომელ საკლუბო გუნდს აღიარებთ საუკეთესოდ?**

— ბოლო 10 წლის მანძილზე „ლივერპულს“ ვერც ერთი შეედრება.

● **როგორ ფიქრობთ, ვინ შეგცვლით ინგლისის ნაკრებში?**

— ინგლისში ბევრი კარგი მეკარეა.

მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში შილტონი, ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობის აზრით, ძალიან კარგად თამაშობდა. თვით შილტონი კი ასე არ ფიქრობდა. მან განაცხადა, რომ დადგა დრო დაემთავრებინა გამოსვლები ნაკრებში, თუმცა ადრე აპირებდა მეტიუზს დასწეოდა. ასე რომ, ნაკრების ახალი მწვრთნელის გრეჰემ ტეილორის წინადადებას — კვლავ გაეგრძელებინათ თამაში ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში — ვეტერანმა მეკარემ მტკიცე უარით უპასუხა. სამაგიეროდ, მან მიიღო მეორე წინადადება, დარჩენილიყო ნაკრებში, როგორც მეკარეთა მწვრთნელი. ამ მოვალეობის შესრულებას იგი მაშინ შეუდგება, როცა ივნისში „დერბი ქაუნთის“ გამოეთხოვება.

ერთი სიტყვით, შილტონის 24-წლიანი საფეხბურთო კარიერა დასასრულს მიუახლოვდა.

**ბიჱი ბაშრეკელი**

ბიბლიოთეკა

# ვახტანგ იაგორაშვილი მესამე იყო

**მოსკოვი.** დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრების ბოლო დღეს სპორტსმენები ასპარეზობდნენ რბენასა და კონკურში. კროსი მოიგო დინამოს პირველი გუნდის წარმომადგენელმა ე. ზენოვკამ, რომელმაც 1441 ქულა მოაგროვა, კონკურსში კი უძლიერესი იყო ჩვენი თანამემამულე ვახტანგ იაგორაშვილი (1100 ქულა). მაგრამ საერთო ჩათვლაში მას მხოლოდ მესამე ადგილი ხვდა (5740 ქულა); აქ გაიმარჯვა ა. ბორისენკომ — 5797 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედლები გადაეცა „დინამოს" პირველ გუნდს, რომლის ღირსებას იცავდნენ ე. ზენოვკა, ა. სტაროსტინი და ა. მაკეევი. ვერცხლის მედლები ერგო „დინამოს" მეოთხე კოლექტივს, ბრინჯაოსი — არმიელთა პირველ გუნდს.

# იწვევენ ჟურნალისტებს!

**„ლელოს"** რედაქციამ ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი თბილისში სათნოების სახლის დაფუძნებას. დღეს, 23 მარტს, 11 საათსა და 30 წუთზე გაიმართება ამ მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია (მისამართი: დავით აღმაშენებლის, 121).

ჟურნალისტებს დაურიგდებათ საინტერესო მასალები, სადაც ჩამოყალიბებულია ბატონების ზვიად გამსახურდიას, აკაკი ასათიანის, თენგიზ სიგუას დამოკიდებულება სათნოებისა და ქრისტიანული მემწყნარებლობისადმი საერთოდ და სათნოების სახლის დაფუძნებისადმი კერძოდ, აგრეთვე, ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური გადაწყვეტილებები. პრესკონფერენციაზე მოწვეულნი არიან და ჟურნალისტებს უპასუხებენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**ჰუმანიტური საზოგადოება „კათარზისის" პრეზიდიუმი.**

## ინფორმაცია

**ლუგანსკში** გამართულ „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს ქართველმა კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა.

პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ალექსანდრე ბოლქვაძემ (57 კგ, „მართვე", მწვრთნელები: თემურ ყაზარაშვილი და გურამ მაჭარაშვილი), რომელმაც ექვსი ორთაბრძოლიდან ყველა აშკარა უპირატესობით მოიგო.

მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ზაზა ლაფერაშვილი (62 კგ, „მართვე", მწვრთნელები: თემურ ყაზარაშვილი და ვასიკო ლაფაჩიშვილი).

ორივე მოჭიდავე სხვებთან ერთად იასპარეზებს საკავშირო პირველობაზე, რომელიც აპრილში გაიმართება ნაბერეჟნიე ჩელნიში.

ა. კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

# ტრადიციული, ახალი სისტემით

**ტრადიციულად**, მარტის მეორე ნახევარში თბილისის სპორტის სასახლეში იმართება მოზარდთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ცნობილი ქართველი ძიუდოისტის ანზორ კიკნაძის სახელს ატარებს. ასპარეზობამ პირველსავე წელს ჰპოვა აღიარება და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი საერთაშორისო კალენდარში.

წლევანდელ, რიგით უკვე მეექვსე საერთაშორისო ტურნირს ეწვივნენ გერმანიის, საფრანგეთის (ორი), ფინეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. ცხადია, მონაწილეობენ მასპინძლებიც — საქართველოს ნაკრები გუნდი. შარშანდელიდან მოყოლებული ვაჟების ასპარეზობის პარალელურად ტატამზე ძალებს გოგოებიც ცდიან. ამჟამად პირველობისთვის იბრძოლებენ პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ძიუდოისტი გოგოები.

ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ოლიმპიური სისტემით ზოგიერთ ჭაბუკ მოჭიდავეს მხოლოდ ერთი შეხვედრის ჩატარება მოუხდება, ამიტომ წონებში სპორტსმენები დაყოფილნი არიან ქვეჯგუფებად და ერთმანეთს წრიული სისტემით ხვდებიან, I-II ადგილებზე გამოსული მოჭიდავეები გავლენ მომდევნო ეტაპზე და აქ უკვე იბრძოლებენ ოლიმპიური სისტემით.

გუშინ დილით გაიმართა წინასწარი შეხვედრები. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მიხეილ აბაშიძის (49 კგ) ლამაზი ჭიდაობა. სპორტის მოყვარულებმა იციან, რომ ეს ჭაბუკი ძირითადად სამბოში გამოდის, მაგრამ ახლა სამი ჩატარებული შეხვედრიდან სამივეში ლამაზად იასპარეზა და ყველა ვადაზე ადრე წმინდა გამარჯვებებით დაამთავრა. ასევე წმინდა გამარჯვებები იზეიმა თბილისელმა ვახტანგ ჩანადირმა (53), ახმეტელმა გოჩა კოტორაშვილმა (57) სძლია ფინელ კაინენ ლუკანენს. გოგოები ასპარეზობდნენ 66 კგ, 72 კგ და მძიმე წონით კატეგორიებში.



**საღამოს გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულები. ვაჟები: 49 კგ — მიხეილ აბაშიძე (საქართველო), 53 კგ — უვდუს ხულთანოვი (სსრ კავშირი), 57 კგ — რამაზ რევაზიშვილი (საქართველო). გოგოები: 66 კგ — მონიკა ხვიატკევიჩი (პოლონეთი), 72 კგ — ოლგა ვორობიოვა (სსრ კავშირი), მძიმე — თეა დონღუზაშვილი (საქართველო).**



# პრობლემებს რა მოაგვარებს...

### თორემ ტაისონი და რადოკი უკვე შეთანხმდნენ

**ცდებიან** ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ სპორტული ღონისძიებაა. მთავარი ამ ორთაბრძოლაში, რა თქმა უნდა, ჩემპიონის გამოვლენაა, და ამდენად მაყურებლისთვის მთავარი სანახაობრივი (ასე ვთქვათ, ტექნიკური) მხარე გახლავთ. მაგრამ ყოველ მატჩს თან ახლავს დიდი ორგანიზაციული საქმიანობა, რასაც ვერც ერთი მოკრივე და მისი მენეჯერი ვერ გაექცევა. ამიტომ ყოველი მოკრივის შტაბის ერთი ნახევარი ტექნიკურ მომზადებაზე ზრუნავს, მეორე ნახევარი კი ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემებს აგვარებს.

მაიკ ტაისონისა და დონოვან რადოკის ამასწინანდელმა ორთაბრძოლამ (რომელიც ტაისონმა მოიგო მეშვიდე რაუნდის მიწურულს ტექნიკური ნოკაუტით) უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო მაყურებლებში, არამედ სპეციალისტებში, ჟურნალისტებში და, ასე განსაჯეთ, თვით მოკრივეებშიც. რადოკს მიაჩნია, რომ არბიტრი რიჩარდ სტილი აჩქარდა, როცა ტექნიკური ნოკაუტი აღნიშნა. ჟურნალისტებიც იმას ფიქრობენ, რომ რადოკს შეეძლო ბრძოლის გაგრძელება.

ამ მატჩს ლას-ვეგასის ფეშენებელური სასტუმროს „მირაჟის" სარბიელზე კანადიდან ჩამოსული ათასობით გულშემატკივარი ესწრებოდა. ისინი ყველაზე აქტიურად გამოხატავდნენ პროტესტს არბიტრის უსამართლო გადაწყვეტილების გამო. ადვილი შესაძლებელი იყო, პროტესტს უფრო მწვავე და სახიფათო ფორმები მიეღო, მაგრამ ლას-ვეგასის გამოცდილმა პოლიციამ დროზე დაამყარა წესრიგი.

რინგზე დაწყებული დავა მეორე დღეს სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში გაგრძელდა და ბოლოს დამთავრდა კომპრომისული გადაწყვეტილებით: მაიკ ტაისონი და მისი მენეჯერი დონ კინგი დათანხმდნენ ხელახალი მატჩის მოწყობაზე, რამაც დონოვან რადოკის, მისი მენეჯერის მურად მუჰამადისა და ათასობით გულშემატკივრის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. სხვათა შორის, პრესამაც სათანადო მიუზღა ტაისონ-კინგის ჯენტლმენურ საქციელს. აპ-ს სააგენტოს ერთ-ერთ მიმომხილველს კი მიაჩნია, რომ ტაისონის გუნდი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა მეტოქის წინადადებას, დარწმუნებული რომ არ იყოს ხელახალ წარმატებაშიო. მაგრამ, ასეა თუ ისეა, გარკვეული შეთანხმება მოხდა, თუმცა...

მოსაგვარებელი რჩება უამრავი, ერთი შეხედვით გადაუჭრელი პრობლემა. მათ შორის მთავარია მაიკ ტაისონისა და რენალდო სნაიპსის მომავალი ბრძოლა, რომელიც 8 ივნისისთვის იყო დანიშნული. თითქოს არ უნდა იყოს ძნელი ამ შეთანხმების გაუქმება — დაირღვა კონტრაქტი და ორივე დაინტერესებული მხარე გადაიხდის ასეთი შემთხვევისთვის დაწესებულ ჯარიმას, მორჩა და გათავდა. მაგრამ, რა უნდა უყონ უკვე გაყიდულ 12563 ბილეთს, რომლის თანხა 5,5 მილიონ დოლარს შეადგენს; რა უნდა უყონ სხვადასხვა სარეკლამო ფირმებთან დადებულ კონტრაქტებს და ბოლოს, როგორ უნდა მოგვარდეს ურთიერთობა საკაბელო ტელევიზიასთან, რომელმაც 600 ათასი დოლარი გადაიხადა. ერთი სიტყვით, მხარეები შეთანხმდნენ, მაგრამ გამოსავლის ძებნა მაინც საჭიროა.

# ბოლო ტურის იმედად

### ანუ ერთი ზედმეტია

**სრულდება** კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე ეტაპი. ბოლო, მეთოთხმეტე ტურის წინ ცნობილია, მხოლოდ ორი ნახევარფინალისტის ვინაობა. ესენი არიან გათამაშების ლიდერი ესპანეთის „ბარსელონა" და საპატიო ჯილდოს ახლანდელი მფლობელი იუგოსლავიის „პოპ-74" (ყოფილი „იუგოპლასტიკა"). დარჩენილ ორ ადგილზე პრეტენზიას სამი კლუბი აცხადებს: „მაკაბი" (ისრაელი), „სკავოლინი" (იტალია) და „არისი" (საბერძნეთი). ამ გუნდებს 13 მატჩის შემდეგ 7-7 გამარჯვება აქვთ და ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა, რომელიც ერთი კვირის შემდეგ უნდა გაიმართოს.

ბოლოსწინა ტურის მატჩში კი „მაკაბიმ" შინ საოცრად იოლად დაამარცხა იუგოსლავიის კლუბი — 103:65. ამას მიმომხილველები ხსნიან იმით, რომ ტრავმირებულია და ვერ თამაშობს „პოპ-84"-ის ლიდერი, ევროპის საუკეთესო კალათბურთელი ტონი კუკოჩი (მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იუგოსლაველებმა პირველი ტურის მატჩიც წააგეს შინ „მაკაბისთან" — 70:72).

მეცამეტე ტურის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: „კინგსტონი" (დიდი ბრიტანეთი) — „ბაიერი" (გერმანია) 95:98, „ბარსელონა" — „სკავოლინი" 100:87, „ლიმოჟი" (საფრანგეთი) — „არისი" 98:106.

გათამაშების ცხრილი

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 10 | 3 | 23 |
| „პოპ-84" | 8 | 5 | 21 |
| „მაკაბი" | 7 | 6 | 20 |
| „სკავოლინი" | 7 | 6 | 20 |
| „არისი" | 7 | 6 | 20 |
| „ბაიერი" | 6 | 7 | 19 |
| „კინგსტონი" | 4 | 9 | 17 |
| „ლიმოჟი" | 3 | 10 | 16 |

# წილისყრა, აპრილი, ნახევარფინალში

**ჟენევაში** გამართული წილისყრით ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

**ჩემპიონთა თასი.** „სპარტაკი" (მოსკოვი, სსრკ) — „ოლიმპიკი" (მარსელი, საფრანგეთი), „ბავარია" (მიუნხენი, გერმანია) — „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი, იუგოსლავია).

**თასების მფლობელთა თასი.** „ბარსელონა" (ესპანეთი) — „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია), „ლეგია" (ვარშავა, პოლონეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი).

**უეფა-ს თასი.** „სპორტინგი" (ლისაბონი, პორტუგალია) — „ინტერი" (მილანი, იტალია), „ბრონდბიუ" (კოპენჰაგენი, დანია) — „რომა" (იტალია).

პირველ შეხვედრებს უმასპინძლებენ პირველად დასახელებული გუნდები. მატჩები გაიმართება 10 და 24 აპრილს.

რედაქტორი
**თენგიზ ზაჩეჩილაძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380036
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
ხამდივნო — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„მერანი" — 98-97-26, „მართვე" — 98-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება თუხეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20